ხელშეკრულება N14სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შსყიდვა)
(CPV -35821100)

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1 ტელეფონი: 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი TRESGE22, სახელმწიფო ხაზინა, ანგ.# GE24NB0330100200165022, სკ-211358957), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად"**, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით **შპს „ევროპლანტ ჯორჯია"** (მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 118ა; ტელ:595-70-70-90; საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ბაზისბანკი, ბანკის კოდი: CBASGE22 ანგ.GE89BS0000000026836812; ს/კ 205219379), წარმოდგენილი მისი დირექტორის **სერგო ბუიღლიშვილის** სახით, შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად",** ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

გამოყენებული ტერმინების განმარტებები
ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე"- კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 „ინსპექტირება" – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2.ხელშეკრულების საგანი
სადროშეების (ფლაგშტოკი) სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად
(CPV -35821100)

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **4'803.96 (ოთხი ათას რვაას სამი ლარი და 96 თეთრი)ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს 2 ცალი 6 მეტრიანი ალუმინის სადროშის (ALUMINIUM MAST SAL MF 6-114) მიწოდება დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მიწოდებული საქონლი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.
5.2 მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **საქართველოს ეროვნული არქივის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, ილია ლომიძე ან იმ დროისთვის მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

7.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელისმოწერით, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ)დაფინანსების წყარო - 2021 წლის საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ასიგნებები.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა“ქვეპუნქტით და დანართი №1-თ გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების ან/და პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1(ერთი) პროცენტს, მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს.

13.ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ნაწილში მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვადით.

15.ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი **მისამართი:** ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1, **ტელეფონი:** 238-14-25, **საბანკო რეკვიზიტები**: **ბანკის კოდი** TRESGE22; **სახელმწიფო ხაზინა** **ანგ.№** GE24NB0330100200165022 **სკ -** 211358957	**შპს „ევროპლანტ ჯორჯია“** **მისამართი:** ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 118ა; **ტელეფონი:** 595-70-70-90 **ელ. ფოსტა: info@europlant.ge** **საბანკო რეკვიზიტები:** სს „ბაზისბანკი“; **ბანკის კოდი:** CBASGE22; **ანგ**. № GE89BS0000000026836812 **სკ**- 205219379

EUROPLANT GEORGIA LLC

Digitally signed by EUROPLANT GEORGIA LLC
Date: 2021.01.28 12:39:59 +04'00'

დანართი N1

შესყიდვის ობიექტის დასახელება	შესყიდვის ობიექტის განზომილება და რაოდენობა	ინფორმაცია მწარმოებელი ქვეყნის და კომპანიის შესახებ	ერთ. ფასი	სულ ფასი	CPV	შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები ვადა და ადგილი
სადროშე *სიმაღლე 6მ* ალუმინის ფუძე და კონუსური ბოძი ნაკერების გარეშე, დამზადებული ალუმინის შენადნობისგან EN AW 6060-ის სტანდარტით EN 40-ის ნორმატივების შესაბამისად. ანოდიზირების სისქე - 20 მიკრონი. უნდა ახლდეს CE (ევროკავშირის) სერტიფიკატი. ტექნიკური მახასიათებლები:) მასალა: ალუმინის შენადნობი EN AW 6060) შემადგენლობა: ორელემენტიანი საყრდენი, ქვედა ნაწილი - კონუსური, ზედა ნაწილი - ცილინდრული) კედლის სისქე: 4 მმ) ბრუნავი თავი: დამზადებულია პლასტმასისგან, მოთავსებულია ბოძის შეგნით თოკთან ერთად, რაც იძლევა საშუალებას, რომ დროშამ თავისუფლად იმოძრაოს ქარის მიმართულებით) თოკი: დამზადებულია პოლიპროპილენისგან დიამეტრით Ø4 მმ (სპირალური დაწვნა), ფერი თეთრი) დროშის საძირავი: მეტალის დაფარული რუხი ფერის პლასტმასით) დროშის დასამაგრებელი რგოლები: 5 ცალი დროშის ზომიდან გამომდინარე ნიშა: აღჭურვილია თოკის დამჭერი მექანიზმით	2 კომპლექტი	**მწარმოებელი ქვეყანა:** პოლონეთი **მწარმოებელი კომპანია:** ZAKLAD PRODUKCJI SPRZETU OSWIETLENIOWEGO "ROSA"	2’401.98	4’803.96	**35821100**	**მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 2 (ორი)სამუშაო დღე. **მიწოდების ადგილი:** ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა (მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია) , შპს ევროპლანტ ჯორჯიას საწყობი

სულ ღირებულება შეადგენს: **4’803.96 (ოთხი ათას რვაას სამი ლარი და 96 თეთრი)ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

შემსყიდველი

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას №1,
ტელეფონი: 238-14-25,
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი TRESGE22; **სახელმწიფო ხაზინა**
ანგ.№ GE24NB0330100200165022
სკ - 211358957

მიმწოდებელი

შპს ევროპლანტ ჯორჯია
მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 118ა;
ტელეფონი: 595-70-70-90
ელ. ფოსტა: info@europlant.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზისბანკი“; **ბანკის კოდი**: CBASGE22; **ანგ.** № GE89BS0000000026836812
სკ- 205219379